

უკრაინაში პრეზიდენტობის 44 კანდიდატი დარეგისტრირდა



უკრაინაში ისტორიაში პირველად პრეზიდენტის თანამდებობისთვის 44 კანდიდატი იბრძობებს.

უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი დაასრულა. პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭისყრის მიზნით კომისიაში დოკუმენტაცია 94-მა პირმა წარადგინა, თუმცა ნაწილი ქვეყნის კონსტიტუციით გათვარისწინებულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა.

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატებიდან 40 მამაკაცი და ოთხი ქალია. პრეზიდენტის თანამდებობაზე რაღას 16 დეპუტატიც იყრის კენჭს.

კანდიდატებს შორის არიან უკრაინის მოქმედი პრეზიდენტის პეტრო პოროშენკო, ყოფილი პრემიერი და პარტია „ბატკივიშინას“ დიდერი იურია ტიმოშენკო, მსახიობი ვლადიმერ ბედენსკი, უკრაინის „რადიკალური პარტიის“ თავმჯდომარე ოლეგ დიაშკო.

საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში 31 მარტს გაიმართება. თუ ხმების 50 პროცენტზე მეტს ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, არჩევნების მეორე ტური 21 აპრილს ჩატარდება.

უკრაინაში 2014 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 23 კანდიდატი იყო რეგისტრირებული.